# ნასყიდობის ხელშეკრულება N3008/1

თბილისი 6 სექტემბერი 2013წელი

## 1. მხარეები

1. გამყიდველი: შპს "თქვენი პარტნიორი", წარმომადგენელი, დირექტორი : მამუკა მაჭარაშვილი
2. მყიდველი: საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი, წარმომადგენელი: მარიამ გოგობერიშვილი
3. თანხმდებიან შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრებაში, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საკონტრაქტო ღირებულება და მიიღოს საქონელი, კერძოდ კომპიუტერული ტექნიკა კლასიფიკატორის (კატეგორია) ნომერი 30200000 (CVP 30200000) რომლის ფასს, რაოდენობას, ხარისხს და სხვა სპეციფიკურ ნიშნებს განსაზღვრავს, დანართი N1, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ფასი და გადახდის პირობები

3.1 სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება N 1 დანართით.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.3 მყიდველი ვალდებულია ავანსის სახით გადაიხადოს საქონლის სრული ღირებულების 50%, ხოლო დანარჩენი საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 4. საქონლის მიწოდება

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 საქონელს თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

4.3 ა) საგადასახადო–ანგარიშ ფაქტურა.

4.4 ბ)სასაქონლო ზედნადები.

4.5 გ) მიღება–ჩაბარების აქტი.

4.6 საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადით.

4.7 საქონლის მიწოდება მოხდება, ქ. თბილისი, პეკინის N36–დან,

4.8 საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მყიდველი.

## 5. გარანტია

5.1 საგარანტიო პერიოდი გადაცემულ საქონელზე შეადგენს 1 წელს.

5.2 გარანტია არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც დეფექტი გამოწვეულია მყიდველის ბრალით (დარღვეულია ინსტრუქციის პირობები ან საქონელი დაზიანებულ იქნა მექანიკურად ან რაიმე სხვა დზით და ა.შ.) ან გარე, მესამე პირის ვანდალური ქმედებით.

5.3

## 6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1 მყიდველის უფლებაა მოსთხოვოს გამყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.2 მყიდველი ვალდებულია ჩაიბაროს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.3 მყიდველი ვალდებულია წუნის აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს გამყიდველს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია უმოკლეს გონივრულ ვადაში გამოასწოროს წუნი ან შეცვალოს ასეთი საქონელი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონლით.

6.4 მყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

6.5 გამყიდველის უფლებაა მოსთხოვოს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.6 გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს N1 დანართით განსაზღვრული საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

## 7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებუ-

ლებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვნად შესრულებით, გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი.

7.2 მყიდველის მიერ ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების, შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისთვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0,1 % -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით გამყიდველს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

7.3 გამყიდველის მიერ ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების, შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისთვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0,01 % -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით მყიდველს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

8.2 მოცემული ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებებისაგან.

## 9. ფორს–მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით.

9.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეულს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების თითოეულ მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაამჟღავნოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 დავის წარმოშობის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან მხარეებისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.6 ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

გამყიდველი:
შ.პ.ს "თქვენი პარტნიორი"
ს/კ 404383163
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 100
მომსახურე ბანკი: ს/ს "ბანკი ქართუ" CRTUGE22
ა/ა: GE97CR0120007001723602

დირექტორი: მამუკა მაჭარაშვილი

მყიდველი:
საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი
ს/კ 239396346
იურიდიული მისამართი: ქ. საჩხერე, თავისუფლების 4

დირექტორი: [illegible]შვილი

დანართი **№1**

| № | დასახელება | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კარტრიჯი Q2612A | 6 | 35.00 | 210.00 |
| 2 | | | | 0.00 |
| 3 | | | | 0.00 |
| 4 | | | | 0.00 |
| 5 | | | | 0.00 |
| 6 | | | | 0.00 |
| 7 | | | | 0.00 |
| 8 | | | | 0.00 |
| 9 | | | | 0.00 |
| 10 | | | | 0.00 |
| 11 | | | | 0.00 |
| 12 | | | | 0.00 |
| 13 | | | | 0.00 |
| 14 | | | | 0.00 |
| 15 | | | | 0.00 |
| 16 | | | | 0.00 |
| 17 | | | | 0.00 |
| 18 | | | | 0.00 |
| | | | ჯამი | 210.00 |
| | | | დ.ღ.გ | 32:03 |

ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს **210.00** (ორასათი) ლარს.

| | |
|---|---|
| შ.პ.ს "თქვენი პარტნიორი"<br>ს/კ 204383163<br>იურ. მის. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის №100<br>მომსახურე ბანკი: სს "ბანკი ქართუ" CRTUGE22<br>ა/ა GE97CR0120007001723602 | საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი<br>ს/კ 239396346<br><br>ქ. საჩხერე, თავისუფლების 4 |

დირექტორი: მამუკა მაჭარაშვილი

დირექტორი: მარიამ გოგობერიშვილი

**YOUR PARTNER** საქართველო, ქ. თბილისი, [illegible] №36, ტელ: 2485227, 890 380172

№0609

თარიღი: 06.09.2013

# მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ შ.პ.ს "თქვენი პარტნიორი" და საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი ჩვენი ხელმოწერებით ვადასტურებთ რომ, შ.პ.ს "თქვენი პარტნიორი"-მა გასცა და საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღმა მიიღო 210.00 (ორასათი) ლარის ღირებულების კომპ. ტექნიკა. ტექნიკის დეტალური დასახელებები და მახასიათებლები მოცემულია დანართში №1

დანართი №1

| № | დასახელება | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კარტრიჯი Q2612A | 6 | 35.00 | 210.00 |
| 2 | | | | 0.00 |
| 3 | | | | 0.00 |
| 4 | | | | 0.00 |
| 5 | | | | 0.00 |
| 6 | | | | 0.00 |
| 7 | | | | 0.00 |
| 8 | | | | 0.00 |
| 9 | | | | 0.00 |
| 10 | | | | 0.00 |
| 11 | | | | 0.00 |
| 12 | | | | 0.00 |
| 13 | | | | 0.00 |
| 14 | | | | 0.00 |
| 15 | | | | 0.00 |
| 16 | | | | 0.00 |
| 17 | | | | 0.00 |
| 18 | | | | 0.00 |
| | | | ჯამი | 210.00 |

შ.პ.ს "თქვენი პარტნიორი"
დირექტორი: მამუკა მაჭარაშვილი

საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი
დირექტორი: მარიამ [illegible]შვილი

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0079251004 |

| 2 | 06/09/2013 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 14:07:30 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს თქვენი პარტნიორი | 404383163 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | საჩხერის გაერთიანებული სასწავლო ბაზა | 239396346 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ქ. თბილისი, პეკინის 36 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | ქ. თბილისი, თავისუფლების 4 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო | 10 | DL118 | X |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 38001002598 მამუკა მაჭარაშვილი |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარტრიჯი Q2612A | 00000077 | ცალი | 6.0000 | 35.0000 | 210.0000 |

| 13 | 210 - ორას ათი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის ძირითადი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 06/09/2013, 14:07:34